განმარტებითი ბარათი

საპროექტო ტერიტორიის მისამართია - ქალაქი თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს სკ - 01.10.18.007.014.

აღნიშნულ ტერიტორიაზე შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა - 3820648 (02/13/2018).

საპროექტო ტერიტორია განლაგებულია ზღვის დონიდან 700 მეტრზე.

შენობის პირობითი ნიშნული 0.00 = 701.618.

ნაკვეთს დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება საავტომობილო გზა. ტერიტორია შემოსაზღვრულია ცვალებადი სიმაღლის რ/ბეტონის ღობით, რომელიც მოპირკეთდება ბუნებრივი ქვით.

მთავარი შესასვლელი იწყება ეზოს წინა ჯიბით, პანდუსის საშუალებით კი ვხვდებით მიწისძვეშა დახურულ ავტოსადგომში -3.675 ნიშნულზე.

ამავე ნიშნულზე მდებარეობს სამრეცხაო, საწყობები, საინჟინრო დანადგარების ოთახი, ტექნიკური სათავსი, აუზის ტუმბო და სველი წერტილი.

შიდა კიბის და ლიფტის საშუალებით ვხვდებით პირველ სართულზე, სადაც განლაგებულია მისაღები ოთახი ბუხრით, სასადილო ოთახი, სამზარეულო, საძინებლები, სველი წერტილებით და საბარდერობო ოთახებით, კაბინეტი და პერსონალის საძინებელი.

მისაღები და სასადილო ოთახებიდან ვერანდების გავლით ვხვდებით ეზოში, სადაც მდებარეობს საცურაო აუზი.

ბუნებრივი ქვით მოწყობილი დამაკავშირებელი ბილიკები ქმნის საპროექტო შენობის და ლანდშაფტის ერთიან დაუბრკოლებელ სივრცეს.

საპროექტი შენობა გადახურულია არაექსპლუატირებადი ბრტყელი სახურავით. ფასადის ძირითად მოსაპირკეთებელ მასალას წარმოადგენს ბუნებრივი ქვა, ასევე ხვდებით ანოდირებული ალუმინის შირმებს, ხის ჭერს, ნაწრთობი მინის მოაჯირებს და ალუმინის სლაიდინგის სისტემებს.

<u>ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები</u>

მიწის ნაკვეთის ფართი	2487.00 მ²
განაშენიანების ფართი	602.40 მ²
საერთო ფართი	794.20 მ²
საცხოვრებელი ფართობი	259.20 მ²
საზაფხულო ფართობი	89.90 მ²
დამხმარე ფართობი	324.70 მ²
ავტოსადგომის ფართი	42.90 მ²
აუზის ფართობი	38.20 მ²
კიბის უჯრედის ფართი	39.30 მ²
სამშენებლო მოცულობა	
0.00 ნიშნულს ზევით	1524.40 მ³
0.00 ნიშნულს ქვევით	1548.80 მ³
შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე	
0.00 ნიშნულს ზევით	5.775 მ
0.00 ნიშნულს ქვევით	3.675 მ
კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი	600.2
კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი	802.8
კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი	1402.0
კ-1	0.2
კ-2	0.3
კ-3	0.6

გენგეგმა 1:500


-1-
-2-
-3-
ნაკადის ბუნებრივი კალაპოტი
ნაკადის ბუნებრივი კალაპოტი
ნაკადის ბუნებრივი კალაპოტი

მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმა

New Point

ქალაქი თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს (ნაკვეთი 1/12) (ს/კ: 01.10.18.007.014)
ს.ს. „ლისი ლეიქ დეველოპმენტ“-ის (ს/ნ: 404857534) საკუთრებაში არსებული 2487 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო
დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მისი მიმდებარე ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა



პირობითი აღნიშვნები

WGS 1984-ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ძს	საცხოვრებელი შენობა		ფოთლოვანი ხე		ხის ღობე		წყალგაყვანილობა
ძა	არასაცხოვრებელი შენობა		ხილკენკროვანი ხე		ღობე		გაზი
	მშენებარე შენობა		წიწვოვანი ხე		ლითონის ღობე		კანალიზაცია
	ნანგრევი		პალმა		ქვის კედელი		სანიაღვრე
	ფარდული		ბუჩქი/ მასიური ბუჩქი		კედელი		კაშირგაბმულობა
			გარე განათება		ფლატე		ელ. ქსელები
					რკინიგზა		გათბობა
					სამეთვალყურეო ჭები		
					ელ. გადამცემი ხაზი		

შენიშვნა:1) გეგმაზე დატანილია საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნაკვეთის საზღვრები
2) ვინაიდან გეგმაზე დატანილია მხოლოდ რეგისტრირებული მიწისქვეშა კომუნიკაციები მათი მდებარეობების დაზუსტება მოხდეს ყველა კომუნიკაციის წარმომადგენლებთან

შპს „ნიუ პოინტ“
საქართველო, თბილისი, მგალობლიშვილის ქუჩა №3,
I სართული, ოფისი №3; ს/ნ: 404883943
www. newpoint.ge info@newpoint.ge
ტელ: / tel: +995 32 2945808; მობ: /cell phone: +995 557 704433;
Ltd „NewPoint“
office N3, floor N1, 3 mgaloblishvili str.
Tbilisi, Georgia ID: 404883943

დირექტორი:		გ. კირკიტაძე
აზომა:		ვ. ვირსალაძე
დახაზა:		ვ. ვირსალაძე
მაშტაბი: 1:500	ფორმატი: A3	28/06/2024 წ.